საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/13

ქ. ბათუმი **24 მარტი, 2023 წ.**

,,ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მარტის N07-01/10 გადაწყვეტილებაში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ გოჩა სურგულაძის სამსახურებრივი ბარათის (MES 8 23 000028053013/03/2023) და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მარტის N07-01/10 გადაწყვეტილების N1 დანართში **(შემდეგში - წესი)** შევიდეს ცვლილება და დამატება, კერძოდ:

ა) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ი) ჩასატარებელი სტუდენტური კონფერენციის **სექციების** განსაზღვრა სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ;“;

ბ) მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7-9 პუნქტები:

,,7. სტუდენტური კონფერენციის **სექციები შეიძლება შეიქმნას** სამეცნიერო **დარგის/მიმართულების მიხედვით**, მინიმუმ 5 სამეცნიერო ნაშრომის შემთხვევაში. 5-ზე ნაკლები ოდენობით ნაშრომის შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას **მომიჯნავე** სამეცნიერო დარგის სექცია. **ასევე დასაშვებია შეიქმნას სექციები,** უმაღლესი განათლების სწავლების საფეხურების მიხედვით **ან** გაერთიანებული, **საფაკულტეტო**

სექცია. სამეცნიერო დარგის/მიმართულების მიხედვით მაგისტრანტების და დოქტორანტების 5-ზე ნაკლები სამეცნიერო ნაშრომის შემთხვევაში დოქტორანტის ან/და მაგისტრანტის სამეცნიერო ნაშრომი შეიძლება მიეკუთვნოს გაერთიანებულ საფაკულტეტო სექციას. გაერთიანებული საფაკულტეტო სექციის არარსებობის შემთხვევაში დოქტორანტის და/ან მაგისტრანტის სამეცნიერო ნაშრომი მიეკუთვნება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამის სტუდენტებისათვის შესაბამისი მიმართულებით შექმნილ სექციას.
8. სტუდენტის მიერ წარდგენილი 2 (ორი) სამეცნიერო ნაშრომის ერთ სექციაში მოხვედრის შემთხვევაში, წარდგენის ეტაპზე უნდა დაიშვას მხოლოდ ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელსაც კომისიის გადაწყვეტილებით უფრო მაღალი შეფასება აქვს, ხოლო თანაბარი ქულების შემთხვევაში კონფერენციაში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს ერთ-ერთმა სამეცნიერო ნაშრომმა, ნაშრომის ავტორი სტუდენტის არჩევანის შესაბამისად (პორტალის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს განცხადება).
9. კონფერენციის პირველ ეტაპზე შემფასებელ კომისიას სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომები წარედგინება დაშტრიხული ფორმით.";

გ) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5[1] პუნქტი:

,,5[1]. მაგისტრანტის/დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამის სტუდენტებისათვის შექმნილ სექციაში დარეგისტრირების შემთხვევაში, ,,შემაჯამებელი კომისია" კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით სტუდენტთა ქულების დაჯამების პროცესში არ ახდენს მაგისტრანტის/დოქტორანტის ნაშრომის ქულების დაჯამებას და შესაბამისად, შემდეგში არ ხორციელდება მაღალი ქულების მქონე ნაშრომის ავტორთა მიმართ წახალისების ღონისძიების გამოყენება.";

დ) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

,,4. კონფერენციის მონაწილე ბსუ-ს იმ მაგისტრანტის შემთხვევაში, რომლის საკონფერენციო ნაშრომი შეეხება სამაგისტრო ნაშრომის თემას ან დარგის/ქვედარგის თემატიკას ან/და კონფერენციაში დარეგისტრირდა და მიეკუთვნა უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტების ნაშრომების სექციას ან გაერთიანებულ საფაკულტეტო სექციას, რექტორის ბრძანების შესაბამისად:

ა) გადაეცემა უნივერსიტეტის სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილის სერტიფიკატი;
ბ) მისი ნაშრომი დაიბეჭდება უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში/ჟურნალში (კომისიის დასკვნის შესაბამისად).".

2. გადაწყვეტილება, ასევე წინამდებარე გადაწყვეტილების გათვალისწინებით მომზადებული კოდიფიცირებული ,,ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესი" გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**